ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 11-28

"26" იანვარი 2018 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბრის №26-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მეორე პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბრის №26-80 დადგენილებაში (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 03/11/2016, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.016336) და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საბჭოს თავმჯდომარეობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ან მისი დავალებით - საკრებულოს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე."

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბრის №26-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ა) საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი:

„გენდერული თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1[1] პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის მუნიციპალურ გენდერული თანასწორობის საბჭოს, რომლის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი საკრებულო. მიზანშეწონილია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" დადგენილების მე-3 მუხლში შეტანილ იქნეს ცვლილება და საბჭოს თავმჯდომარეობის შესაძლებლობა ჰქონდეს როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ასევე მისი დავალების შემთხვევაში - საკრებულოს თავმჯდომარის ერთ-ერთ მოადგილეს.

ბ) პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" დადგენილების მე-3 მუხლში ხდება დაკონკრეტება და საბჭოს თავმჯდომარეობის შესაძლებლობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის გარდა მისი დავალების შემთხვევაში ეძლევა საკრებულოს თავმჯდომარის ერთ-ერთ მოადგილეს.

გ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

პროექტის მიღება არ გამოიწვევს თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

დ) პროექტის ავტორია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი.

ე) პროექტის წარმდგენია:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი/საკრებულოს თავმჯდომარე - გიორგი ტყემალაძე